## მთავარი დღეს



\+ -

2012-12-05 09:15:13
ნიკა გილაურის ბიზნეს–პარტნიორებმა საქართველოში ინვესტიციების ჩადება არჩევნებიდან რამდენიმე დღეში გადაიფიქრეს

ყოფილი პრემიერი მათი გადაწყვეტილების მიზეზებზე არ საუბრობს

commersant.ge

რა გეგმები ჰქონდა ყოფილი პრემიერისა და საპარტნიორო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის ნიკა გილაურის კომპანიას და რატომ თქვეს მისმა ბიზნეს–პარტნიორებმა საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე უარი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისთანავე?

„მწვანე ალტერნატივის“ ინფორმაციით, არჩევნაბამდე ერთი თვით ადრე ნიკა გილაურმა „შპს გილაური და კომპანია” დაარეგისტრირა.

დარეგისტრირებიდან მე–5 დღეს კი ამავე კომპანიამ „შპს კავკასიის ენერგეტიკული კომპანია“ შექმნა და საქართველოს მთავრობასა და 3 ოქტომბერს შპს „კავკასიის ენერგეტიკულ კომპანიას" შორის ურთიერთგაგების მემორანდუმიც გაფორმდა.

თუმცა მალე, „კავკასიის ენერგეტიკულმა კომპანიამ“ დადებული მემორანდუმის გაუქმების თაობაზე განაცხადა.

19 ნოემბერს მემორანდუმი კომპანიის მიმართვის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით გაუქმდა.

აღნიშნული მემორანდუმის გაუქმებას ხელს საქართველოს პრემიერ–მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აწერს.

ამ თემაზე commersant.ge–სთან განმარტებებს თავად ყოფილი პრემიერ–მინისტრი ნიკა გილაურო აკეთებს. როგორც მან აღნიშნა, „კავკასიის ენერგეტიკული კომპანია“ საქართველოში მცირე, კერძოდ კი 10–20 მეგავატის სიმძლავრის ჰესების მშენებლობას უცხოელი ინვესტორების დახმარებით გეგმავდა. ყოფილი პრემიერის განმარტებით, საქართველოში მცირე ჰესების მშენებლობით, ინდოელი და თურქი ბიზნესმენები იყვნენ დაინტერესებული, რომლებიც ჰესების აგებას სამეგრელო–ზემო სვანეთის ტერიტორიაზე გეგმავდნენ.

თუმცა ინვესტორებმა მოგვიანებით გადაწყვეტილება შეცვალეს და ინვესტიციების განხორციელებაზე უარი თქვეს. „გვინდოდა ინვესტიციები მოგვეზიდა საქართველოში, თუმცა მოგვიანებით ინვესტორებმა ჰესების მშენებლობაზე უარი თქვეს, თუ რატომ, ეს მათ უნდა კითხოთ,“ – აცხადებს გილაური.

უკავშირდება თუ არა ინვესტორების მიერ გადაწყვეტილების შეცვლა ხელისუფლების ცვლილებას საქართველოში?

„მწვანე ალტერნატივის“ პროგრამების მენეჯერის ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, შესაძლოა უცხოელმა ინვესტორებმა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ის პოლიტიკური გარანტიები ვეღარ მიიღეს, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ექნებოდათ და მათ ნიკა გილაურის კომპანია საიმედო პარტნიორად აღარ ჩათვალეს. ეს კი, მაჭარაშვილის თქმით, კიდევ ერთხელ ადასტურებს წინა ხელისუფლების დროს არახელსაყრელი ბიზნეს გარემოს არსებობას და გარკვეული ბიზნეს ჯგუფებისთვის სასათბურე პირობების შექმნას.

მაჭარაშვილის თქმითვე, შესაძლოა ივესტორების მხრიდან უარის თქმით მიზეზი გარემო ფაქტორებზე

## კვირის სტუმარი



პარლამენტის წევრი ნაციონალური მოძრაობიდან გიორგი ვაშაძე გამოაგზავნეთ შეკითხვა

## გამოკითხვა

2012 წელს, წინა

ზეგავლენაც ყოფილიყო. „უცხოელები ჰესების მშენებლობის შემთხვევაში გარემო პირობების გაუარესებას ისე აგდებულად არ უყურებენ, როგორც წინა ხელისუფლების წარმომადგენლები," – ამბობს მაჭარაშვილი. მისივე თქმით, ის ფაქტი, რომ უცხოელებს მცირე ჰესის მშენებლობა სურდათ, „ინდულგენცია" ვერ იქნებოდა, ვინაიდან მცირე ჰესებსაც შეუძლია გარემოსთვის ზარალის მიყენება.

Like 1 Tweet 0

Add a comment...

Post to Facebook Posting as Natalia Ksovreli (Change) Comment

Facebook social plugin

ეკონომიკური ინიციატივა აისახა თქვენზე ყველაზე დადებითად?

- პენსიების ზრდა
- სახელმწიფო დაზღვევის ახალი პროგრამის ამოქმედება
- ენერგო და სოფლის მეურნეობის ვაუჩერების გაცემა
- რთველის სუბსიდირება
- დასაქმების პროგრამები
- გზების მოწესრიგება
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- არცერთი ინიციატივის შედეგები არ მიგრძვნია
- სხვა

ხმის მიცემა

კვირის ფრაზა

„მიმდინარე მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ საქართველო–ისრაელს შორის მხოლოდ გართულებებია მოსალოდნელი"

ქართულ-ებრაული ბიზნეს პალატის თავმჯდომარე იციკ მოშე

კატეგორია: კატეგორია თარიღი: რაოდენობა: 6 go




05.12.2012

რუსეთში მცირე ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ძირითადი მიზეზები დაასახელეს ....


ვრცლად



05.12.2012

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემწეობის გაზრდა პირველი ივლისიდან იგეგმება ....

ვრცლად



05.12.2012

ენერგეტიკის სამინისტრო ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით "ინტერ რაო ეესისგან" პასუხს დღეს ელოდება ....


ვრცლად



05.12.2012

რინატ ახმეტოვი: "ოქრიაშვილმა და თარგამაძემ "შახტარში" დასაბრუნებლად ბევრი უნდა გააკეთონ" ....

ვრცლად



05.12.2012

პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შესაძლოა აღარ შეიქმნას ....

ვრცლად




05.12.2012


კახეთში სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობას ზარალს „ქართუ" აუნაზღაურებს ....

ვრცლად



04.12.2012

პარლამენტში 2013 წლის



04.12.2012

ღვინის სააგენტოს

Nota Bene



04.12.2012

სასამართლო რეფორმა – რატომ ვერ გამოუვიდა საქართველოს



04.12.2012

მაია რჩეულიშვილი: ჩვენ „დექსუსში" მისვლის უფლებაც კი არ გვქონდა



04.12.2012

„ეკო ჯორჯიას" გაყიდვას მისი ყოფილი მფლობელი საკუთარი სტრატეგიით ხსნის



03.12.2012

საქართველოს ხელისუფლების

გადაწყვეტილებას ქართულ-ებრაული ბიზნეს პალატის მკაცრი რეაქცია მოჰყვა